# ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

## II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

**ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.**

**ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

## I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

*გაითვალისწინეთ,* ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

მაგიდის ჩოგბურთი ვიქტორიანული ეპოქის ინგლისში წარმოიშვა სადაც ის, როგორც სალონური თამაში მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენელებში იყო გავრცელებული. სავარაუდოთ, ამ თამაშის თავდაპირველი სახეობა ინდოეთში შეჰქმნეს ბრიტანელმა ოფიცრებმა რომლებმაც ის ევროპაში შემოიტანეს.

1921 წელს დიდ ბრიტანეთში დაარსდა მაგიდის ჩოგბურთის ასოციაცია, 1926 წელს კი – საერთაშორისო ფედერაცია. ამ თამაშის პირველ მსოფლიო ჩემპიონატსაც სწორედ ლონდონმა უმასპინძლა.

სპორტის ეს სახეობა თბილისში „პინგ-პონგის“ სახელწოდებით შემოვიდა XX საუკუნის დასაწყისში. თბილისელები „პინგ-პონგს“ თამაშობდნენ ყველგან საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებსა თუ ოჯახებში. 1928 წელს მაგიდის ჩოგბურთი, როგორც „ბურჟუაზიული გადმონაშთი“ ხელისუფლებამ აკრძალა. მისი აღორძინება ჩვენ ქვეყანაში მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. სწორედ ამ დროიდან არის იგი განსაკუთრებით პოპულარული. ეზოებში, დაწესებულებებში, ბაღებსა და პარკებში დგავდნენ სპეციალურ მაგიდებს, იქმნებოდა საწვრთნელი ჯგუფები, სამოყვარულო გუნდები, ხდებოდა ამხანაგური შეჯიბრებების მოწყობა. ამავე პერიოდში ჩაეყარა საფუძველი მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციასა და მწვრთნელთა საბჭოს. 1952 წელს ფოთში ჩატარდა საქართველოს პირველი ჩემპიონატი რის გამარჯვებულიც გახდა ირაკლი ხიმშიაშვილი.

## II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

## ტექსტი I

**ყურადღებით წაიკითხეთ გივი გეგეჭკორის ლექსი „ნუ წახვალ ისე, რომ არავის არ სცე ნუგეში“:**

ამ წუთისოფლის სიტლანქეში და სიჩლუნგეში,
რადგან სიცოცხლე ეწირება, ბოლოს და ბოლოს,
ვერაგ სიკვდილთან თავიდანვე განწირულ ბრძოლას,
ნუ წახვალ ისე,
            რომ არავის არ სცე ნუგეში!..

დე, იყოს სიტყვა გაცვეთილი, როგორც საფულე
ან როგორც დანა მზარეულის, –
                  თუ დაზაფრულებს
უშველის, –
        მიეც და უბოძე მათ ხალათივით
სიტყვა-მკურნალი,
          ჯადოქარი
              და ალადინი.
სხვა საფიცარი შენ არ გინდა,
              სხვა არტოშანი,
თუ იმათ სულში აყვავდება სიტყვა-შროშანი,

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

სიტყვა, უსიტყვოდ თავწახრილი სიტყვის უღელში.
ნუ წახვალ ისე,
            რომ არავის არ სცე ნუგეში!..

შენ, უბადრუკზე უბადრუკო უბადრუკებში,
ერთსა და იმავ მდინარეში ორჯერ შესულო,
თუკი ღირსი ხარ, ღირსეულად რომ აღესრულო,
ნუ წახვალ ისე,
რომ არავის არ სცე ნუგეში!..

თუ არ დაგიდგამს,
            დადგი ლამპა ფანჯრის რაფაზე
და ვისაც ერთხელ გაუნათებს,
            ის დააფასებს.
მხოლოდ ერთმანეთს დაეძებენ ჩვენი სულები,
ჩვენ ვართ ყველანი ერთი ხვედრით გადაბმულები,
არავისია არავისზე უმსუბუქესი,
ნუ წახვალ ისე,
            რომ არავის არ სცე ნუგეში!..

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რა იგულისხმება *„წუთისოფლის სიტლანქეში და სიჩლუნგეში“*?

ა) რომ ცხოვრება გაუსაძლისია.

ბ) რომ ცხოვრება შეუცნობელია.

გ) რომ წუთისოფელი მოკლეა.

დ) რომ წუთისოფელი წარმავალია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 3. რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში *„სიტყვა გაცვეთილი“*?

ა) ბუნდოვანსა და გაუგებარს.

ბ) საინტერესოსა და საყურადღებოს.

გ) შინაარსიანსა და ადვილად გასაგებს.

დ) ხშირად გამოყენებულსა და ბანალურს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 4. ავტორის აზრით, რა შეუძლია სიტყვას?

ა) უნუგეშო ადამიანების გადარჩენა.
ბ) უპოვარი ადამიანების შემოსვა.
გ) შერყეული რწმენის განმტკიცება.
დ) ჯადოსნური სამყაროს შექმნა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 5. რა სულიერ მდგომარეობას გამოხატავს სიტყვა *„დაზაფრული“*?

ა) განრისხებას.
ბ) განცვიფრებას.
გ) შეუპოვრობას.
დ) შეძრწუნებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 6. რა მხატვრული საშუალებაა *„სულში აყვავდება სიტყვა-შროშანი“*?

ა) ალუზია.
ბ) მეტაფორა.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 7. როგორ ადამიანს გულისხმობს ავტორი სიტყვებში:

*„შენ, უბადრუკზე უბადრუკო უბადრუკებში,*
*ერთსა და იმავ მდინარეში ორჯერ შესულო“*?

ა) ბოროტმოქმედს, რომელიც დანაშაულის დამალვას აპირებს.
ბ) სულელს, რომელიც სხვების შეცდომებს იმეორებს.
გ) უბედურ ადამიანს, რომელიც გამოსავალს ვერ პოულობს.
დ) ცოდვილ ადამიანს, რომელიც მონანიებას ცდილობს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 8. რა მხატვრული საშუალებაა: *„...უბოძე მათ ხალათივით სიტყვა-მკურნალი“*?

ა) ალიტერაცია.

ბ) ალუზია.

გ) გაპიროვნება.

დ) შედარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 9. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: *„დადგი ლამპა ფანჯრის რაფაზე“*?

ა) ადამიანებს გასაჭირში დახმარების ხელი უნდა გაუწოდო.

ბ) ადამიანებს საკუთარი შესაძლებლობები უნდა დაანახვო.

გ) თანამოძმეები წუთისოფლის ამაოებაში უნდა დაარწმუნო.

დ) მტერს გადარჩენის ყოველგვარი საშუალება უნდა მოუსპო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 10. რა აზრს გამოხატავს სიტყვები: *„ჩვენ ვართ ყველანი ერთი ხვედრით გადაბმულები“*?

ა) ადამიანთა ერთმანეთზე მიჯაჭვულობა ცხოვრებას აიოლებს.

ბ) საერთო ბედისწერა ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს.

გ) ცხოვრების სისასტიკე ადამიანებს ერთმანეთთან აპირისპირებს.

დ) ცხოვრების სიტლანქე ადამიანებს ერთმანეთისაგან თიშავს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 11. **რა დატვირთვა აქვს სიტყვების – *„ნუ წახვალ ისე, რომ არავის არ სცე ნუგეში!..“* – გამეორებას?**

ა) ანელებს ლექსის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას.
ბ) გამოკვეთს და აძლიერებს ტექსტის მთავარ სათქმელს.
გ) მკითხველს არწმუნებს წუთისოფლის ამაოებაში.
დ) მკითხველს ჩააფიქრებს ცხოვრების უკუღმართობაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

*გაითვალისწინეთ:*

*ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.*

*ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.*

**(34) 12. ადამიანის უპირველესი მოვალეობა სხვების თანადგომა და მათზე ზრუნვაა.**

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

## ტექსტი II

### ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“:

– რა ნაღველი აქვთ იმისთანა, რომ ავადმყოფს თავი დამანებებინეს და აგრე საჩქაროდ მიბარებენ? – ჰკითხავდა ლამაზისეულს გზადაგზა ერთი ტანში მოხრილი, პატარა, მოკუნტული, დაღმეჭილი ბებერი დედაკაცი.

– რა ვიცი? ხომ იცი, რომ უშვილონი არიან...

– ეგ ხომ მე უშენოდაც ვიცი, რომ შვილი არა ჰყავთ, – გააწყვეტინა სიტყვა ოსტატურად გამოქნილმა და ცბიერმა მკითხავმა.

სულელს ლამაზისეულს გაუკვირდა: საიდამ იცისო!

– მაშ ქალაქში რომ მკითხავს აკითხვინეს და ეთქო, თელეთი ილოცეთო, ისიც გეცოდინება?.. – უთხრა გოგომა და დააცქერდა გაოცებული, ვნახოთ, რას იტყვისო.

– მაშ, ჩემო კარგო, ჩვენი ხელობა რა არის? პურს მაგითი ვჭამ და ეგ როგორ არ მეცოდინება? – მიუგო ოსტატმა დედაბერმა ისე არხეინად, ასე გგონია – მართლა იცოდაო.

– თელეთში რომ ვიყავით, ისიც იცი?

– გეუბნები, შვილო, ჩვენი ხელობა ეგ არის-მეთქი. მაგითი ვცხოვრობთ, მაშ არ გვეცოდინება?

ძალიან უხაროდა გულში მკითხავსა, რომ ამისთანა სულელი გოგო შეჰხვდა, რომ ზოგიერთი საჭირო ამბავი გზადაგზა გამოათქმევინა...

გოგომ თავლაზედ ამოატარა მკითხავი. მკითხავმა თავლის გარეშემო თვალი გადაავლო და ერთი ამოღრანტული რაღაცა შენიშნა. „ეს კარგია“, – სთქვა გულში.

ცოლ-ქმარი მოუთმენლად ელოდნენ მკითხავსა, ბოლოს მკითხავიც მოვიდა. რა წამსაც ფეხი ოთახში შემოდგა და თავი დაუკრა, მაშინათვე ოსტატურად მოფიქრებული სიტყვები მიაყარა:

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

– ძერასა ჰკითხეს: შვილები გირჩევნია, თუ ორი თვის წყალუსმელობაო? – წყლის უსმელობაო. ჯორსა ჰკითხეს: – შენ რაღაო? – უშვილობაო. თქვენთვის არავის უკითხავს და რატომ შვილი არა გყავთ? ვინ დაგწყევლათ ეგრე?

ცოლ-ქმარმა გაოცებით ერთმანეთს შეჰხედეს: საიდამ გაიგო ეგრე მალეო! ლუარსაბმა პირი დააღო ჯერა, მინამ სიტყვების აზრს მიჰხვდებოდა; როცა მიჰხვდა – თითქო შეშინდაო, პირჯვარი გადიწერა და სთქვა იმ სახით, როგორც ჭექა-ქუხილის დროს ვიცით ხოლმე:

– კურთხეულ არს სახელი უფლისა. ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ!.. დედაკაცო! ჩვენ გულში იჯექ?..

მკითხავმა ხმა არ გასცა, თითქო ამისთანა ქებას ყურსაც არ ათხოვებსო. მიუბრუნდა რაღაც მზრუნველობით გოგოს და უთხრა:

– ჯამით წმინდა წყალი მომიტანე, ერთი შავტარა დანა, ნახშირი და ახალი ხორბალი.

მინამ გოგო ამას მოუტანდა, ლუარსაბი და დარეჯანი ენაჩავარდნილებსავით იყვნენ. ეგონათ, რომ თუ არ ეშმაკის მანქანებით, ამისთანა გულთმისნობა არ იქნება. მოდი და ეშმაკის ხსენებაზედ შიშისაგან ენა ნუ ჩაუვარდებოდათ!

გოგომ მოიტანა ყველაფერი. ბებერი ძირს ჩაჯდა. ჩააგდო ჯერ ერთი ხორბლის მარცვალი, აიღო ხელში დანა და ნახშირი და დაიწყო ტუჩების ცმაცუნი, მითამდა ულოცავს. მერე გაუშტერა თვალი წყალსა. ჩვენი ცოლ-ქმარი შიშით და კრძალვით ელოდებოდნენ, ჩვენი ბედისწერა რას იტყვისო...

– კარგი გიქნიათ, – დაიწყო მკითხავმა, – კარგი გიქნიათ, რომ მკითხავისთვის დაგიჯერებიათ და თელეთის სალოცავად წასულხართ. შეგეწიოთ თელეთის მადლი; მაგრამ...

აქ სიტყვა გასწყვიტა ხერხიანმა დედაკაცმა და უფრო გაუშტერა თვალი წყალსა. ლუარსაბი და დარეჯანი სმენად გადაიქცნენ.

– დიაღ, თელეთი გიშველიდათ, რომ თქვენ სახლში ჯადო არა ყოფილიყო.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ლუარსაბმა და დარეჯანმა, შიშისაგან სულწასულთა, ერთს დროს და ერთხმად კანკალით წამოიძახეს:

– ვაი, ადრე და მალე დაღუპულო ოჯახო!..

– ნუ გეშინიანთ: ეხლა ის ჯადო საშიში აღარ არის, მე ხელში მყავს.

– აბა, მაჩვენე, თუ ხელში გყავს, – უთხრა ლუარსაბმა, მაგრამ, რადგანაც თითონ ეშინოდა იმისი ნახვა, დარეჯანს უთხრა: – მე კი ვერ შევხედავ, მე თვალებს დავხუჭავ და შენ გასინჯე.

– უი, არა გეთაყვანე, შენ თითონა ჰნახე, მე დავხუჭავ თვალებსა, – მიუგო შიშისაგან ფერმიხდილმა ცოლმა.

– ნუ გეშინიანთ, – დააშოშმინა მკითხავმა, – განა მართლა ხელში მყავს, ჯადო თქვენს ეზოშია.

– სადა, გეთაყვანე, სადა? არიქა, ბიჭებო, მიშველეთ! – დაიყვირა ბატონმა.

– თავლას უკან რომ ორმოა, ჯადო იქა დევს... – მშვიდად დაუმატა მკითხავმა.

– ბიჭებო, არიქა, ბიჭებო! აბა, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! თუ ბატონის წყალობა გინდათ, ბიჭებო! თუ ჩოხები გინდათ, თავლის უკან ორმოაო!..

ჰყვიროდა ოთახში ზარდაცემული ლუარსაბი. აქეთ კიდევ დარეჯანი კანკალმა აიტანა და ტუჩები გაულურჯდა, მაგრამ მაინც კიდევ ქმარს უთხრა:

– აქ რომ ჰყვირი, ვინ რას გაიგებს? გარეთ გადი და გაგზავნე ბიჭები.

– არა, გეთაყვანე, ეხლა კი შენ გადი და მერე თუნდა ორმოცჯერ მე გავალ...

– არა გრცხვენიან, მე დედაკაცსა მგზავნი და შენ კი ქუდი გეხუროს და კაცი გერქვას?

– რა დროს კაცობაა, რას ამბობ? სახლში ჯადო არისო.

– მე დავუძახებ ბიჭებს, – უთხრა მკითხავმა, – მაგაზედ როგორ დაღონდით!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

– ჰო, გეთაყვა, შენ დაუძახე, ჩვენ – ხომ ხედავ – დავღონდით, – შეეხვეწა ლუარსაბი, – ეხლა, ოთახში რომ ჩვენ მარტონი დავრჩებით, ხომ არაფერი?

– არაფერი.

მკითხავი გავიდა, ბიჭები გაისტუმრა ჯადოს ამოსაღებად. ბიჭებმა ბევრი უტრიალეს თავლასა და ორმო ვერა ჰნახეს...

– ვაი, შენ ჩემო თავო! – დაიძახა ლუარსაბმა, – დახე, ჯადოს ამათთვისაც თვალი აუბამს, რა გვეშველება?

მკითხავმა ჩაიცინა.

– მე წავალ თითონ. მე ჯადო თვალებს ვერ ამიბამს, – სთქვა მკითხავმა, – თქვენც წამოდით, რომ თქვენის თვალითა ჰნახოთ.

– არა, გეთაყვანე, ჩვენ ისეც დაგიჯერებთ, – უთხრა ლუარსაბმა, რომ ეშინოდა იქ წასვლა. – უჩვენოდ წადი, შენა ჰნახე, მითამ ჩვენ გვინახავს.

დედაბერი წავიდა, თან ბიჭები წაასხა და პატარა ხანს უკან რაღაცა ძონძები ამოიტანა.

– აქ ნუ შემოიტან, – ჰყვიროდა ლუარსაბი და თან კუთხეში იმალებოდა, – აქ ნუ შემოიტან, მანდვე დააწვევინე, მანდვე!

ჯადო დასწვეს.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რატომ უწოდებს ავტორი მკითხავს *„ოსტატურად გამოქნილსა და ცბიერს“*?

ა) საჭირო ინფორმაცია ცოლ-ქმრის შესახებ ლამაზისეულს წამოაცდენინა.

ბ) იცოდა ნაცნობებისაგან ლუარსაბისა და დარეჯანის უშვილობის შესახებ.

გ) მეზობლებში გამოიკითხა, თუ რატომ დაიბარეს იგი ლუარსაბმა და დარეჯანმა.

დ) ეჭვობდა, რომ ცოლ-ქმარს ვერ დაეხმარებოდა, თუმცა ამას მაინც ცდილობდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 3. **რას ნიშნავს სიტყვა** *არხეინად* **კონტექსტში:** *„მიუგო ოსტატმა დედაბერმა ისე არხეინად, ასე გგონია – მართლა იცოდაო“*?

ა) განცვიფრებას.

ბ) დაცინვას.

გ) ინტერესს.

დ) თავდაჯერებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 4. ლამაზისეულის რა თვისება ჩანს სიტყვებში: *„დააცქერდა გაოცებული, ვნახოთ, რას იტყვისო“*?

ა) სიბრიყვე.

ბ) მიხვედრილობა.

გ) თავაზიანობა.

დ) სიჯიუტე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 5. პერსონაჟისადმი ავტორის როგორი დამოკიდებულება ჩანს სიტყვებში: *„ლუარსაბმა პირი დააღო ჯერა, მინამ სიტყვების აზრს მიჰხვდებოდა...“*?

ა) გულგრილი.

ბ) შემწყნარებლური.

გ) ლმობიერი.

დ) ირონიული.


[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე]

(1) 6. რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში სიტყვები: *„ამისთანა ქებას ყურსაც არ ათხოვებსო“*?

ა) ინტერესს ამჟღავნებს.
ბ) არაფრად მიიჩნევს.
გ) მოუთმენლობას იჩენს.
დ) ყურადღებას იჩენს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 7. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: *„ლუარსაბი და დარეჯანი ენაჩავარდნილებსავით იყვნენ“*?

ა) გაპიროვნება.
ბ) ეპითეტი.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 8. რა მიზნით გაწყვიტა მკითხავმა სიტყვა *„და უფრო გაუშტერა თვალი წყალსა“*?

ა) სურდა დარეჯანისა და ლუარსაბის უშვილობის მიზეზი ამოეცნო.

ბ) სურდა დარეჯანისა და ლუარსაბის ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა.

გ) სურდა ოთახში მყოფთა შეშფოთება რამენაირად გაექარწყლებინა.

დ) სურდა თავისი ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 9. რატომ სთხოვა ლუარსაბმა დარეჯანს, რომ ორმოს სანახავად წასულიყო?

ა) შეშინებულს უნდოდა განსაცდელი თავიდან აერიდებინა.
ბ) სურდა შეშინებული მოჯამაგირეები როგორმე დაემშვიდებინა.
გ) უნდოდა, რომ დარეჯანისათვის ხიფათი როგორმე აეცილებინა.
დ) იმედი ჰქონდა, რომ დარეჯანი ჯადოს ძალას დაუკარგავდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 10. რას ნიშნავს *„თვალებს ვერ ამიბამს“*?

ა) ვერ დამამარცხებს.
ბ) ვერ მომატყუებს.
გ) ვერ მომხიბლავს.
დ) ვერ შემაჩერებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 11. ლუარსაბის რა თვისება ჩანს მის სიტყვებში: *„რა დროს კაცობაა, რას ამბობ? სახლში ჯადო არისო“*?

ა) დაბნეულობა.
ბ) სიმხდალე.
გ) თვალთმაქცობა.
დ) წინდაუხედაობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

*გაითვალისწინეთ:*

*ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.*

*ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.*

**(34) 12. ცრუ წარმოდგენები ადამიანს რეალობის ადეკვატურად აღქმის უნარს უკარგავს.**

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.